# როგორ დავწეროთ შესავალი

## გაიდი

**შესავალი** - აკადემიური ნაშრომის სტრუქტურული ელემენტი, რომლითაც იწყება სამეცნიერო ტექსტის ძირითადი ნაწილი. შესავლის მიზანია, ერთი მხრივ, მკითხველის დაინტერესება საკვლევი საკითხით და, მეორე მხრივ, მისთვის კვლევის ძირითადი ჩარჩოს გაცნობა.



შესავალი ჰგავს „ამობრუნებულ პირამიდას“, რომლის ძირითადი პრინციპია ზოგადიდან კონკრეტულისკენ სვლა.

### შესავალი ნაწილის ძირითადი ელემენტები:

**ლიტერატურის მიმოხილვა** - ნაწილი, რომელშიც ჩანს ნაშრომისთვის გამოყენებული სამეცნიერო თუ სხვა ტიპის პირველადი წყაროები.

**საკვლევი საკითხი/ჰიპოთეზა** - ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავენ საკვლევ პრობლემას/კვლევის ვარაუდს.

**საკვლევი კითხვა** - ელემენტი, რომელიც აჩვენებს იმას, რაც არ არის სათანადოდ ცნობილი ან/და შესწავლილი.

**კვლევის აქტუალობა** - ელემენტი, რომელიც გადმოსცემს შერჩეული საკვლევი საკითხის მნიშვნელობას კონკრეტულ სფეროში/დარგში.

**კვლევის მიზანი** - თეზისი, რომლის დამტკიცებასაც დაეთმობა მსჯელობა საშინაო ნაშრომში.

**ნაშრომის გეგმა** - ეს ნაწილი მკაფიოდ აჩვენებს საშინაო ნაშრომის ყველა მომდევნო (შესავლის შემდეგ მდებარე) ძირითად ელემენტს.

### გაითვალისწინეთ:

- ✓ შესავალი იწყება კვლევის თეორიული ან ისტორიული საფუძვლებით, საკვლევი სფეროს მიმოხილვით და თანდათან ვიწროვდება საკვლევი თემის და საკითხების წარმოჩენის მიზნით.
- ✓ გამოიყენეთ ტერმინები, რომლებიც საკვანძოა თქვენი ნაშრომისთვის და შეეხება კვლევის ძირითად ცნებებს.
- ✓ ყველა ელემენტი თანმიმდევრულად და ლოგიკურად უნდა იყოს წარმოდგენილი
- ✓ ნათლად უნდა იყოს აღწერილი, თუ როგორ უკავშირდება საკვლევი პრობლემა/თემა მეცნიერების შესაბამის სფეროს და მიმოხილულ ლიტერატურას.
- ✓ დაცული უნდა იყოს აკადემიური წერისთვის მისაღები და კონკრეტულ დარგში არსებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმები.
- ✓ შესავალი, სასურველია, დასრულდეს საშინაო ნაშრომის მომდევნო ნაწილების მოკლე აღწერით.

***მასალა მომზადებულია შემდეგი წყაროების გამოყენებით:***

თურაბიანი, ქეით ლ. 2007. *სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის: „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის*, მეშვიდე გამოცემა. ლონდონი: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლევან ცაგარელის სკრიპტი: *როგორ დავწეროთ საშინაო ნაშრომი.*

ჩუბინიძე, ნინო. 2011. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციის და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

***გაიდი შეადგინა ნინო გალდავაძემ.***